



საქართველოს მთავრობის დადგენილება

№ 378 2020 წლის 22 ივნისი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-11 მუხლის 7¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის შემთხვევაში, აკრედიტებული პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი სახელმწიფო უწყების შუამდგომლობის გათვალისწინებით, თვითიზოლაციის წესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია ან დიპლომატიური მისია;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია